ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“; გაზაფხულის ქ. 61, თბილისი 0186
ტელ./ფაქსი: +995 (32) 2 536 486 / 2 536 487
ruraltourism@elkana.org.ge

მეწარმე სუბიექტის სტანდარტი

საოჯახო სასტუმრო სახლები და აგროტურისტული მეურნეობები

ძირითადი დებულებები

მსტ 20545291-009-2021

თბილისი, 2021

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ

ბიოლოგიური მეურნეობათა

ასოციაცია „ელკანას“ დირექტორი

_____ მ. ჯორჯაძე

“--------“ _____ 2021

მეწარმე სუბიექტის სტანდარტი

საოჯახო სასტუმრო სახლები და აგროტურისტული მეურნეობები

ძირითადი დებულებები

მსტ 20545291-009-2021

მესამე ვერსია

მოქმედების ვადა: უვადო

1 მიზანი, მოქმედების სფერო

წინამდებარე სტანდარტის მიზანია საქართველოში სოფლის ტურიზმის განვითარებისა და ტურისტული მომსახურების ხარისხის დანერგვის ხელშეწყობა. წინამდებარე სტანდარტი განსაზღვრავს სოფლად და პატარა ქალაქებში საოჯახო სასტუმრო სახლების მოწყობას, მათი მომსახურების ხარისხსა და კლასიფიკაციის კრიტერიუმებს. ასევე მინიმალურ მოთხოვნებს აგროტურისტული მეურნეობისათვის.

2 განმარტებანი

2.1 სოფლის ტურიზმი – ადგილობრივი რესურსების საფუძველზე განხორციელებული ტურისტული მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია ტრადიციულ სოფლის მეურნეობასთან, კულტურასთან და ბუნებრივ ფასეულობებთან სოფლად ან პატარა ქალაქში;

2.2 საოჯახო სასტუმრო სახლი – ღამისთევით სტუმრის კომერციული განთავსების შესაძლებლობის მქონე საცხოვრებელი სახლი სოფლად ან პატარა ქალაქში, სადაც პერსონალური ყურადღება, წყნარი და მშვიდი გარემო და მომსახურების გარკვეული ხარისხი დაკავშირებულია კარგად შენარჩუნებულ ბუნებრივ გარემოსა და ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციებთან, კულტურულ მემკვიდრეობასთან და ადგილობრივ პროდუქტებთან;

2.3 ინდივიდუალური საცხოვრებელი ერთეული – კოტეჯი ან სახლი, სადაც არ ცხოვრობს მასპინძელი, ასევე სასტუმრო სახლის შენობაში არსებული ბინა დამოუკიდებელი შესასვლელით, სადაც წყნარი და მშვიდი გარემო და მომსახურების გარკვეული ხარისხი დაკავშირებულია კარგად შენარჩუნებულ ბუნებრივ გარემოსა და ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციებთან, კულტურულ მემკვიდრეობასთან და ადგილობრივ პროდუქტებთან;

2.4 კატეგორიზაციის სისტემა – საოჯახო სასტუმრო სახლებისა და ინდივიდუალური საცხოვრებელი ერთეულების მოწყობის/აღჭურვის დახასიათებისა და მომსახურების სტაბილური ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული სისტემა, რომელიც ხასიათდება გარკვეულ მოთხოვნათა კომპლექსით (კრიტერიუმები) და გულისხმობს მათ დაჯგუფებას კატეგორიებად. წინამდებარე სტანდარტით განსაზღვრული კატეგორიზაციის სისტემა ეფუძნება მომსახურების ხარისხის დახასიათებას სიმბოლური ნიშნით – „მზე“. მომსახურების მინიმალურ მოთხოვნებს შეესაბამება კატეგორია _ „1 მზე“, ხოლო მოსახურების უფრო მაღალი ხარისხი განისაზღვრება კატეგორიებით: „2 მზე“, „3 მზე“, „4 მზე“;

2.5 აგროტურიზმი - აგროტურიზმი არის მოგზაურობა და ტურისტული აქტივობა/მომსახურება შეთავაზებული ფერმერის მიერ; აგროტურიზმის ძირითადი რესურსია ტრადიციული სოფლის გარემო,

ფერმერული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა და ცოცხალი კულტურა, რომლის შენარჩუნება, დაცვა და გამოყენება ხდება ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ;
2.6 აგროტურისტული მეურნეობა - ფერმერის მფლობელობაში არსებული მეურნეობა და უძრავი ქონება, რომელიც ჩართულია აგროტურისტულ საქმიანობაში;

2.7 აგროტურისტული მომსახურება – მოიცავს აგროტურისტული მომსახურების მიმღები პირების (სტუმრების) მიღებას, ფერმერულ საქმიანობაში მათ ჩართვას და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შეთავაზებას;
2.8 აგროტურისტული საქმიანობა - აგროტურისტული მომსახურების გაწევა ფერმერული მეურნეობის ფარგლებში;
2.9 სტუმარი – პირი, რომელიც სარგებლობს საოჯახო სასტუმრო სახლის, ინდივიდუალური საცხოვრებელი ერთეულის ან აგროტურისტული მომსახურებით;
2.10 მასპინძელი – საოჯახო სასტუმრო სახლის, ინდივიდუალური საცხოვრებელი ერთეულის, აგროტურისტული მეურნეობის მესაკუთრე ან/და მმართველი.
2.11 პატარა ქალაქი - ქალაქი, რომლის მცხოვრებთა რაოდენობა 100 000 კაცს არ აღემატება.
2.12 ფერმერული საქმიანობა - ფერმერული მეურნეობის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მოიცავს მცენარეული და ცხოველური (მათ შორის, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის, ფრინველის, თევზის, ფუტკრის და სხვა) პროდუქტის პირველად წარმოებას ან წარმოებასა და შემდგომ გადამუშავებას ოჯახის წევრების ან/და სხვა პირების შრომის გამოყენებით;
2.13 ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი - ფერმერული საქმიანობის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე მიღებული სურსათი;
2.14 HACCP - საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა.

I თავი - საოჯახო სასტუმრო სახლი

3 საოჯახო სასტუმრო სახლის ძირითადი მახასიათებლები

3.1 მდებარეობა სოფლად, ან პატარა ქალაქში;
3.2 ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება;
3.3 მშვიდი გარემო, ხმაურისა და დაბინძურების გარეშე;
3.4 სტუმრისა და მასპინძლის საზოგადოებრივი, კულტურული და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა;
3.5 სტუმართმოყვარეობა - სტუმრის პირადად მიღება, პერსონალური ყურადღება, ზრუნვა სტუმარზე მისი სტუმრობის პერიოდში;
3.6 გამომრიცხავი კრიტერიუმებია: ა) დიდი ქალაქი ან სამრეწველო გარემო; ბ) მასობრივი ტურისტული ადგილები.

4 საოჯახო სასტუმრო სახლების კატეგორიზაციის სისტემა

4.1 საოჯახო სასტუმრო სახლების წინამდებარე სტანდარტით განსაზღვრული კლასიფიკაციის სისტემა მოიცავს ოთხ კატეგორიას:
4.1.1 კატეგორია - საოჯახო სასტუმრო სახლი (ინდივიდუალური საცხოვრებელი ერთეული), „1 მზე“;
4.1.2 კატეგორია - საოჯახო სასტუმრო სახლი (ინდივიდუალური საცხოვრებელი ერთეული), „2 მზე“;
4.1.3 კატეგორია - საოჯახო სასტუმრო სახლი (ინდივიდუალური საცხოვრებელი ერთეული), „3 მზე“.
4.1.4 კატეგორია - საოჯახო სასტუმრო სახლი (ინდივიდუალური საცხოვრებელი ერთეული), „4 მზე“.

5 კატეგორია – საოჯახო სასტუმრო სახლი, „1 მზე“

5.1 ზოგადი მოთხოვნები
5.1.1 მშვიდი და სუფთა გარემო (დასაშვებია ტრადიციული სოფლის მეურნეობის დამახასიათებელი სუნი და ხმაური, გარდა სპეციფიკური, მძაფრი სუნისა და ხმაურისა);
5.1.2 ადგილობრივი პროდუქტები და სურსათი ხელმისაწვდომია შემოგარენში;
5.1.3 სტუმრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;
5.1.4 აღჭურვილობის ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი ყოველი ახალი სტუმრის მიღებისა წინ და/ან გასტუმრებისას;
5.1.5 ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია თვალსაჩინო ადგილზე;

5.1.6 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და საერთო სისუფთავის დაცვა;
5.1.7 პირველი დახმარების აფთიაქი; სტუმრებისათვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია ჯანდაცვის უახლოესი ობიექტების შესახებ;
5.1.8 მეპატრონის/მენეჯერის ტელეფონის ნომერი თვალსაჩინო ადგილზე;
5.1.9 ტურისტული საინფორმაციო ფურცლები, ბუკლეტები, ასევე ინფორმაცია სახლისა და შემოგარენის შესახებ ხელმისაწვდომია სტუმრისათვის;
5.1.10 მასპინძელს აქვს გავლილი სპეციალური ტრენინგი სტუმრის დახვედრაში (მათ შორის უსაფრთხოების წესების შესახებ);
5.1.11 დაჯავშნის სერვისი: წინასწარი დაჯავშნის სისტემა; რეგისტრაციის დასტური ინტერნეტის, ელ-ფოსტის და/ან ტელეფონის მეშვეობით;
5.1.12 საუზმე.

5.2 შენობა, ეზო და მისი მიმდებარე ტერიტორია
5.2.1 ელემენტარული მისადგომობა;
5.2.2 მოკირწყლული, მოხრეშილი ან მოასფალტებული მისასვლელი შენობასთან;
5.2.3 ეზო დეკორატიული გამწვანებით/ბაღით;
5.2.4 რეგიონისათვის დამახასიათებელი ტრადიციული შენობა ან შენობა ტრადიციული ელემენტებით;
5.2.5 დაუზიანებელი შენობა (ბზარების გარეშე);
5.2.6 სუფთა იატაკი და კედლები (ობის, ლაქებისა და ნესტის გარეშე);
5.2.7 გადახურული და განათებული მთავარი შესასვლელი;
5.2.8 აბრა (კატეგორიის მითითებით) შენობაზე ან ეზოს ჭიშკარზე;
5.2.9 რეკომენდებულია შენობის გადახურვა-მოპირკეთებისას არ იყოს გამოყენებული ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე მასალები;
5.2.10 წყალმომარაგება: ცივი და ცხელი წყალი უწყვეტად, დღე-ღამის განმავლობაში;
5.2.11 მუდმივი ელექტროგანათება; მინიმუმ ერთი ნათურა (60 ვტ ან ეკვივალენტი) შენობის ყველა სეგმენტში;
5.2.12 გათბობა: ტემპერატურა მთელ ობიექტზე - X-IV თვეებში 18-20^{0}C;
5.2.13 გაგრილება: მოთხოვნის შემთხვევაში ვენტილატორით უზრუნველყოფა;
5.2.14 ნაგვის გატანა ოფიციალურად არსებულ ნაგავსაყრელებზე; ხოლო იქ, სადაც ეს შეუძლებელია, ნარჩენების გატანა გარემოსათვის მინიმალური ზიანის მიყენებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;
5.2.15 მობილური სატელეფონო კავშირი ხელმისაწვდომია შემოგარენში;
5.2.16 კოცონის გაჩაღება ხორციელდება შენობა-ნაგებობებიდან არანაკლებ 30 მ-ის დაშორებით;
5.2.17 ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას, ხანძრის შესაძლო წყაროდან არაუმეტეს 20 მეტრში.

5.3 სტუმრის ოთახი
5.3.1 ერთადგილიანი ოთახი _ მინიმუმ 9 მ^2;
5.3.2 ორადგილიანი ოთახი – მინიმუმ 10 მ^2;
5.3.3 სამადგილიანი ოთახი _ მინიმუმ 14 მ^2;
5.3.4 ყოველ დამატებით საწოლზე - დამატებით 3 მ^2 ფართობი;
5.3.5 ერთადგილიანი საწოლი - 80X190 სმ;
5.3.6 ორადგილიანი საწოლი - 120X190 სმ;
5.3.7 სტუმრებისათვის განკუთვნილ ყველა ოთახს აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი და მინიმუმ 1 ფანჯარა, რომელიც იღება;
5.3.8 ერთფრთიანი ფანჯრის ზომა - მინიმუმ 1350სმ X 600სმ;
5.3.9 ორფრთიანი ფანჯრის ზომა - მინიმუმ 1350სმ X 1200სმ;
5.3.10 ლოგინი და თეთრეული ღამის გასათევი ადგილის რაოდენობის შესაბამისად: მატრასი (არაღრუბლოვანი) ან/და ლეიბი, გადასაფარებელი, საბანი, ბალიში, ზეწარი, საბნის კონვერტი, ბალიშისპირი;
5.3.11 პირსახოცი – სტუმრების რაოდენობის შესაბამისად;
5.3.12 ტუმბო ან თარო ყოველი სტუმრისათვის;
5.3.13 სკამი სტუმრების რაოდენობის მიხედვით;
5.3.14 ტანსაცმლის საკიდი;
5.3.15 სარკე, ნახევარი ტანის დასანახად;
5.3.16 შუქგაუმტარი ფარდები/ჟალუზი;
5.3.17 ნაგვის კალათა, პოლიეთილენის პარკით;
5.3.18 გაუმჭვირვალე კარი საკეტით;

5.3.19 განათება: ჭაღი (ჭერზე), მაგიდის ლამპა;
5.3.20 2 შტეფსელი ერთ სტუმარზე.

5.4 მოსასვენებელი და სასადილო ოთახი
5.4.1 მოსასვენებელი და სასადილო ოთახი ერთად: ფერადი ტელევიზორი; მაგიდა, სკამები და სავარძლები სტუმრების რაოდენობის გათვალისწინებით.

5.5. სანიტარული კვანძი
5.5.1 სანიტარული კვანძი შენობის შიგნით ან კაპიტალური სანიტარული კვანძი შენობის გარეთ, მინიმუმ ერთი 6 კაცზე;
5.5.2 სანიტარული კვანძი უნდა იყოს სუფთა;
5.5.3 სანიტარული კვანძის ფართობი - არანაკლებ 4 კვ.მ (თუ სააბაზანო და ტუალეტი ცალ-ცალკეა - სააბაზანო - 2.3 კვ.მ, ტუალეტი - 1.7 კვ.მ)
5.5.4 სანიტარული კვანძი არ უნდა იყოს გამავალი სამზარეულოში ან სასადილო ოთახში;
5.5.5 გამართული ვენტილაცია, სარკმელი სანიტარულ კვანძში;
5.5.6 საშხაპე ან აბაზანა;
5.5.7 ფარდა აბაზანაში ან დახურული საშხაპე, სასაპნე საშხაპეში ან მის სიახლოვეს;
5.5.8 პირსაბანი;
5.5.9 თარო პირსაბანთან;
5.5.10 პირსახოცის ჩამოსაკიდი (ორი კაუჭით);
5.5.11 სარკე პირსაბანთან;
5.5.12 უნიტაზი;
5.5.13 უნიტაზის გასაწმენდი ჯაგრისი;
5.5.14 ნაგვის კალათა ერთჯერადი პოლიეთილენის პარკით;
5.5.15 თხევადი საპონი;
5.5.16 ტუალეტის ქაღალდისათვის საკიდი და ტუალეტის ქაღალდი;
5.5.17 კბილის ჯაგრისის ჩასადები ჭიქა;
5.5.18 გაუმჭვირვალე კარი, იკეტება შიგნიდან;
5.5.19 სანიტარული კვანძის სისუფთავის დაცვა;
5.5.20 1 შტეფსელი.

6 კატეგორია _ ინდივიდუალური საცხოვრებელი ერთეული, „1 მზე“

6.1 მინიმალური ფართობი 4 კაცზე გათვლილი საცხოვრებელი ერთეულისათვის – 45 $მ^2$; ყოველ დამატებით კაცზე - 5 $მ^2$;
6.2 საძინებელი (საძინებლები), სამზარეულო სასადილო კუთხით, სააბაზანო/ტუალეტი, ჰოლი, ასევე აივანი ან შუშაბანდი;
6.3 ინდივიდუალურ საცხოვრებელ ერთეულს აქვს მყარი ყრუ კარი, რომელიც იკეტება გასაღებით გარედან და შიგნიდან;
6.4 თუ ეს პუნქტი განსხვავებულ მოთხოვნებს არ ითვალისწინებს, ინდივიდუალურ ბინის საერთო მდგომარეობა, შენობის, ოთახების აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე სტანდარტის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს;
6.5 სანიტარულ კვანძში დამატებით უნდა იყოს სარეცხის ტაშტი.

6.6 სამზარეულოს აღჭურვილობა:
6.6.1 სასადილო მაგიდა და სკამები (სტუმრების რაოდენობის მიხედვით);
6.6.2 გამართული ვენტილაცია;
6.6.3 ორსანთლიანი ქურა;
6.6.4 ჭურჭელი: თეფშები (ჩვეულებრივი, ღრმა) ჭიქები, ფინჯნები, დანა-ჩანგალი, კოვზები (სუფრის და ჩაის) – სტუმრების რაოდენობის შესაბამისად;
6.6.5 ქვაბები (მინიმუმ 2);
6.6.6 ტაფები (მინიმუმ 2);
6.6.7 ნაგვის კალათა ერთჯერადი პოლიეთილენის პარკით;
6.6.8 ბოთლის გასახსნელი;
6.6.9 ჭურჭლის გასამშრალებელი ტილო;
6.6.10 კარადა ჭურჭლისათვის;
6.6.11 მჭრელი დანა, ჩამჩა, ქაფქირი, ციცხვი, საწური;
6.6.12 საჭრელი დაფა, სახეხი;

6.6.13 ცხელი ჭურჭლის ასაღები და სადგარი;
6.6.14 ცოცხი, აქანდაზი, იატაკის ჯოხი, ტილო;
6.6.15 მაცივარი;
6.6.16 ჩაიდანი.

7 კატეგორია – საოჯახო სასტუმრო სახლი, „2 მზე“

7.1 ზოგადი მოთხოვნები

7.1.1 მშვიდი და სუფთა გარემო (დასაშვებია ტრადიციული სოფლის მეურნეობის დამახასიათებელი სუნი და ხმაური, გარდა სპეციფიკური, მძაფრი სუნისა და ხმაურისა);
7.1.2 ადგილობრივი პროდუქტები და სურსათი ხელმისაწვდომია შემოგარენში;
7.1.3 სტუმრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;
7.1.4 აღჭურვილობის ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი ყოველი ახალი სტუმრის მიღებისას;
7.1.5 ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია თვალსაჩინო ადგილზე;
7.1.6 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და საერთო სისუფთავის დაცვა;
7.1.7 პირველი დახმარების აფთიაქი; ინფორმაცია ჯანდაცვის უახლოესი ობიექტების შესახებ;
7.1.8 მეპატრონის/მენეჯერის ტელეფონის ნომერი თვალსაჩინო ადგილზე;
7.1.9 ტურისტული საინფორმაციო ფურცლები, ბუკლეტები ასევე ინფორმაცია სახლისა და შემოგარენის შესახებ;
7.1.10 მასპინძელს და მომსახურე პერსონალს აქვს გავლილი სპეციალური ტრენინგი სტუმრის დახვედრაში (მათ შორის უსაფრთხოების წესების შესახებ);
7.1.11 ოთახის დაჯავშნის სერვისი: წინასწარი დაჯავშნის სისტემა; რეგისტრაციის დასტური ინტერნეტისა და ელ-ფოსტის მეშვეობით;
7.1.12 სტუმრის წიგნი;
7.1.13 საუზმე, ვახშამი;
7.1.14 სიახლოვე კულტურულ-ისტორიულ ძეგლთან ან/და ბუნებრივ რეკრეაციულ რესურსთან (მდინარე, ტბა, ზღვა, დაცული ტერიტორია, ნაკრძალი და ა.შ);
7.1.15 სოფლის სასტუმრო სახლის შემთხვევაში - საინტერესო მეურნეობა (მაგ., მარანი, თონე, კარგად მოვლილი ბაღი ან ვენახი);
7.1.16 პროგრამის შეთავაზება (მაგ., ექსკურსია, ცხენებით გასეირნება, ადგილობრივ დღესასწაულზე დასწრება და სხვა);
7.1.17 დამატებითი მომსახურების პაკეტი (მაგ., დამატებითი კვება, დალაგება, გარეცხვა, ძიძა და სხვ.);
7.1.18 ყავის ან ჩაის ასადუღებელი მოწყობილობა ხელმისაწვდომია სტუმრებისათვის;
7.1.19 პრეისკურანტი თვალსაჩინო ადგილზე.

7.2 შენობა, ეზო და მისი მიმდებარე ტერიტორია

7.2.1 ელემენტარული მისადგომობა;
7.2.2 კეთილმოწყობილი მიმდებარე ტერიტორია;
7.2.3 მოკირწყლული, მოხრეშილი ან მოასფალტებული მისასვლელი შენობასთან;
7.2.4 ეზო დეკორატიული გამწვანებით/ბაღით (სოფლის სასტუმრო სახლის შემთხვევაში - კოცონის დასანთები ადგილი) და მოსასვენებელი კუთხით;
7.2.5 მანქანის გასაჩერებელი ადგილი სტუმრების რაოდენობის გათვალისწინებით (ყოველ 6 სტუმარზე ერთი ადგილი);
7.2.6 რეგიონისათვის დამახასიათებელი ტრადიციული შენობა ან შენობა ტრადიციული ელემენტებით;
7.2.7 დაუზიანებელი შენობა (ბზარების გარეშე);
7.2.8 სუფთა იატაკი და კედლები (ობის, ლაქებისა და ნესტის გარეშე);
7.2.9 რეკომენდებულია შენობის გადახურვა-მოპირკეთებისას არ იყოს გამოყენებული ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე მასალები (მაგ., აზბესტის მასალით გადახურვა);
7.2.10 გადახურული და განათებული მთავარი შესასვლელი;
7.2.11 აბრა (კატეგორიის მითითებით) შენობაზე ან ეზოს ჭიშკარზე;
7.2.12 წყალმომარაგება: ცივი წყალი უწყვეტად დღე-ღამის განმავლობაში,
7.2.13 მუდმივი ელექტროგანათება; მინიმუმ ერთი ნათურა (60 ვტ ან ეკვივალენტი), შენობის ყველა სეგმენტში;
7.2.14 გათბობა: ტემპერატურა მთელ ობიექტზე – X_IV თვეებში 18_20^{0}C, ასევე გათვალისწინებულია დამატებით გამათბობლის შეთავაზება;
7.2.15 გაგრილება: ვენტილატორი ოთახში;

7.2.16 ნაგვის გატანა ოფიციალურად არსებულ ნაგავსაყრელებზე; ხოლო იქ, სადაც ეს შეუძლებელია, ნარჩენების გატანა გარემოსათვის მინიმალური ზიანის მიყენებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;
7.2.17 სატელეფონო კავშირი და ინტერნეტი ხელმისაწვდომია შემოგარენში;
7.2.18 მომსახურების სფეროს შესაბამისი, გამართული ავეჯი;
7.2.19 ბარგის შესანახი უსაფრთხო ადგილი.
7.2.20 კოცონის გაჩაღება ხორციელდება შენობა-ნაგებობებიდან არანაკლებ 30 მ-ის დაშორებით;
7.2.21 ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას, ხანძრის შესაძლო წყაროდან არაუმეტეს 20 მეტრში.

7.3 სტუმრის ოთახი
7.3.1 ერთადგილიანი ოთახი - 9 მ^2;
7.3.2 ორადგილიანი ოთახი – 12 მ^2
7.3.3 სამადგილიანი ოთახი – 16 მ^2
7.3.4 ყოველ დამატებით საწოლზე - დამატებით 3 მ^2 ფართობი;
7.3.5 ერთადგილიანი საწოლი – 80X190 სმ;
7.3.6 ორადგილიანი საწოლი – 140X190 სმ;
7.3.7 სტუმრებისათვის განკუთვნილ ყველა ოთახს აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი და მინიმუმ 1 ფანჯარა, რომელიც იღება;
7.3.8 ერთფრთიანი ფანჯრის ზომა - მინიმუმ 1350სმ X 600სმ;
7.3.9 ორფრთიანი ფანჯრის ზომა - მინიმუმ 1350სმ X 1200სმ;
7.3.10 ლოგინი და თეთრეული ღამის გასათევი ადგილის რაოდენობის შესაბამისად: მატრასი (არაღრუბლოვანი) და ლეიბი, გადასაფარებელი, საბანი, ბალიში, ზეწარი, საბნის კონვერტი, ბალიშისპირი;
7.3.11 პირსახოცი (დიდი და პატარა) – სტუმრების რაოდენობის შესაბამისად;
7.3.12 ტუმბო ან თარო ყოველი სტუმრისათვის;
7.3.13 სკამი სტუმრების რაოდენობის მიხედვით;
7.3.14 კარადა (კაცზე სამი საკიდი);
7.3.15 სარკე, ნახევარი ტანის დასანახად;
7.3.16 შუქგაუმტარი ფარდა/ჟალუზი ფანჯრებზე;P
7.3.17 ნაგვის კალათა;
7.3.18 გაუმჭვირვალე კარი, საკეტით;
7.3.19 განათება: ჭაღი, მაგიდის ლამპა (ადგილების რაოდენობის შესაბამისად);
7.3.20 პატარა ხალიჩა საწოლთან;
7.3.21 შტეფსელი - ოთახში 2 შტეფსელი ერთ სტუმარზე;
7.3.22 თეთრეულის და პირსახოცის გამოცვლა კვირაში ერთხელ, შესაძლებელია პირსახოცის გამოცვლა კვირაში 2-ჯერ სტუმრის მოთხოვნით.

7.4 მოსასვენებელი და სასადილო ოთახები
7.4.1 მოსასვენებელი ოთახი ან ჰოლი (განცალკევებით სასადილოსაგან): ფერადი ტელევიზორი; მაგიდა და სავარძლები სტუმრების რაოდენობის გათვალისწინებით;
7.4.2 სასადილო ოთახი: მაგიდა და სკამები სტუმრების რაოდენობის გათვალისწინებით; ტრადიციული დეკორატიული ელემენტები.

7.5 სანიტარული კვანძი
7.5.1 სანიტარული კვანძი შენობის შიგნით, მინიმუმ ერთი 4 კაცზე;
7.5.2 სანიტარული კვანძის საერთო მდგომარეობა და რემონტი უნდა ქმნიდეს სიახლისა და სისუფთავის შთაბეჭდილებას;
7.5.3 სანიტარული კვანძის ფართობი - არანაკლებ 4 კვ.მ (თუ სააბაზანო და ტუალეტი ცალ-ცალკეა - სააბაზანო - 2.3 კვ.მ, ტუალეტი - 1.7 კვ.მ)
7.5.4 სანიტარული კვანძი არ უნდა იყოს გამავალი სამზარეულოში ან სასადილო ოთახში;
7.5.5 ვენტილაცია ან ერთი ფანჯარა სანიტარულ კვანძში;
7.5.6 საშხაპე ან აბაზანა;
7.5.7 ფარდა აბაზანაში ან დახურული საშხაპე, სასაპნე;
7.5.8 პირსაბანი;
7.5.9 თარო პირსაბანთან;

7.5.10 პირსახოცის ჩამოსაკიდი (ორი კაუჭით);
7.5.11 სარკე პირსაბანთან;
7.5.12 უნიტაზი;
7.5.13 უნიტაზის საწმენდი ჯაგრისი;
7.5.14 ნაგვის კალათა ერთჯერადი პოლიეთილენის პარკით;
7.5.15 თხევადი საპონი;
7.5.16 ტუალეტის ქაღალდის საკიდი და ტუალეტის ქაღალდი;
7.5.17 კბილის ჯაგრისის ჩასადები ჭიქა;
7.5.18 გაუმჭვირვალე კარი, იკეტება შიგნიდან;
7.5.19 სანიტარული კვანძის სისუფთავის დაცვა;
7.5.20 1 შტეფსელი.

8 კატეგორია - ინდივიდუალური საცხოვრებელი ერთეული, 2 "მზე"

8.1 მინიმალური ფართობი 4 კაცზე გათვლილი საცხოვრებელი ერთეულისათვის – 45 $მ^2$; ყოველ დამატებით კაცზე - 5 $მ^2$;
8.2 მინიმალური საცხოვრებელი ფართი და დამხმარე სათავსები: საძინებელი (საძინებლები), მოსასვენებელი ოთახი, სამზარეულო სასადილო კუთხით და სააბაზანო/ტუალეტი, აივანი ან შუშაბანდი, ჰოლი;
8.3 ინდივიდუალურ საცხოვრებელ ერთეულს აქვს მყარი ყრუ კარი, რომელიც იკეტება გასაღებით, გარედან და შიგნიდან;
8.4 თუ ეს პუნქტი განსხვავებულ მოთხოვნებს არ ითვალისწინებს, ინდივიდუალურ ბინის საერთო მდგომარეობა, შენობისა და ოთახების აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე სტანდარტის მე-7 პუნქტის მოთხოვნებს;
8.5 სანიტარულ კვანძში დამატებით უნდა იყოს სარეცხის ტაშტი.

8.6 სამზარეულოს აღჭურვილობა:
8.6.1 სასადილო მაგიდა და სკამები (სტუმრების რაოდენობის მიხედვით);
8.6.2 გამართული ვენტილაცია;
8.6.3 ორსანთლიანი ქურა;
8.6.4 ჭურჭელი: თეფშები (ჩვეულებრივი, ღრმა) ჭიქები, ფინჯნები, დანა-ჩანგალი, კოვზები (სუფრისა და ჩაის) – სტუმრების რაოდენობის შესაბამისად;
8.6.5 მჭრელი დანა, ჩამჩა, ქაფქირი, ციცხვი, საწური;
8.6.6 საჭრელი დაფა, სახეხი;
8.6.7 ქვაბები (მინიმუმ 2);
8.6.8 ტაფები (მინიმუმ 2);
8.6.9 ნაგვის კალათა ერთჯერადი პოლიეთილენის პარკით;
8.6.10 ბოთლის გასახსნელი;
8.6.11 ჭურჭლის გასამშრალებელი ტილო;
8.6.12 კარადა ჭურჭლისათვის;
8.6.13 ცოცხი, აქანდაზი, იატაკის ჯოხი, ტილო;
8.6.14 მაცივარი;
8.6.15 ელექტრომადუღარა;
8.6.16 ცხელი ჭურჭლის ასაღები და სადგარი.

9 კატეგორია – საოჯახო სასტუმრო სახლი, „3 მზე"

9.1 ზოგადი მოთხოვნები
9.1.1 მშვიდი და სუფთა გარემო;
9.1.2 ადგილობრივი პროდუქტები და სურსათი ხელმისაწვდომია შემოგარენში (სოფლის სასტუმრო სახლის შემთხვევაში _ მასპინძლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქტის შეძენის შესაძლებლობა);
9.1.3 სტუმრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;
9.1.4 აღჭურვილობის ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი ყოველი ახალი სტუმრის მიღებისას;
9.1.5 ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია თვალსაჩინო ადგილზე;
9.1.6 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სან-ჰიგიენური ნორმებისა და საერთო სისუფთავის დაცვა;
9.1.7 პირველი დახმარების აფთიაქი; ინფორმაცია ჯანდაცვის უახლოესი ობიექტების შესახებ;

9.1.8 მეპატრონის/მენეჯერის ტელეფონის ნომერი თვალსაჩინო ადგილზე;
9.1.9 ტურისტული საინფორმაციო ფურცლები, ბუკლეტები ასევე ინფორმაცია სახლისა და შემოგარენის შესახებ;
9.1.10 მასპინძელს და მომსახურე პერსონალს აქვს გავლილი სპეციალური ტრენინგი სტუმრის დახვედრაში (მათ შორის უსაფრთხოების წესების შესახებ);
9.1.11 ოთახის დაჯავშნის სერვისი: წინასწარი დაჯავშნის სისტემა; რეგისტრაციის დასტური ინტერნეტისა და ელ-ფოსტის მეშვეობით;
9.1.12 სტუმრის წიგნი;
9.1.13 მასპინძელი (ან მისი ოჯახის წევრი) მომსახურებისათვის აუცილებელ დონეზე ფლობს უცხო ენას;
9.1.14 საუზმე, ვახშამი (შეთავაზებული პროდუქტების სულ ცოტა 50% უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივი წარმოების ნატურალურ პროდუქტს);
9.1.15 სიახლოვე კულტურულ-ისტორიულ ძეგლთან ან/და ბუნებრივ რეკრეაციულ რესურსთან (მდინარე, ტბა, ზღვა, დაცული ტერიტორია, ნაკრძალი და ა.შ);
9.1.16 სოფლის სასტუმრო სახლის შემთხვევაში - საინტერესო მეურნეობა (მაგ., მარანი, თონე, კარგად მოვლილი ბაღი ან ვენახი);
9.1.17 პროგრამის შეთავაზება (მაგ., ექსკურსია, ცხენებით გასეირნება, ადგილობრივ დღესასწაულზე დასწრება და სხვა);
9.1.18 დამატებითი მომსახურების პაკეტი (მაგ., დამატებითი კვება, დალაგება, გარეცხვა, ძიძა და სხვა);
9.1.19 ყავის ან ჩაის ასადუღებელი მოწყობილობა ხელმისაწვდომია სტუმრებისათვის;
9.1.20 პრეისკურანტი თვალსაჩინო ადგილზე;
9.1.21 უთოს შეთავაზება;
9.1.22 სარეკრეაციო/გასართობი მოწყობილობების/ღონისძიებების არჩევანი შემოგარენში (მაგ., საცურაო აუზი, საუნა, მაგიდის ჩოგბურთი, საბილიარდო, სპორტული მოედანი ბავშვებისათვის და სხვ.).

9.2 შენობა, ეზო და მისი მიმდებარე ტერიტორია
9.2.1 კარგი მისადგომობა მსუბუქი მანქანისათვის;
9.2.2 კეთილმოწყობილი მიმდებარე ტერიტორია;
9.2.3 მოკირწყლული, მოხრეშილი ან მოასფალტებული მისასვლელი შენობასთან;
9.2.4 ეზო დეკორატიული გამწვანებით/ბაღით (სოფლის სასტუმრო სახლის შემთხვევაში - კოცონის დასანთები ადგილით) და მოსასვენებელი კუთხით;
9.2.5 მანქანის გასაჩერებელი ადგილი სტუმრების რაოდენობის გათვალისწინებით (ყოველ 4 სტუმარზე ერთი ადგილი);
9.2.6 რეგიონისათვის დამახასიათებელი ტრადიციული შენობა ან შენობა ტრადიციული ელემენტებით და მოზრდილი აივნით;
9.2.7 დაუზიანებელი შენობა (ბზარების გარეშე);
9.2.8 სუფთა იატაკი და კედლები (ობის, ლაქებისა და ნესტის გარეშე);
9.2.9 რეკომენდებულია შენობის გადახურვა-მოპირკეთებისას არ იყოს გამოყენებული ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე მასალები (მაგ., აზბესტის მასალით გადახურვა);
9.2.10 გადახურული და განათებული მთავარი შესასვლელი;
9.2.11 აბრა (კატეგორიის მითითებით) შენობაზე ან ეზოს ჭიშკარზე;
9.2.12 წყალმომარაგება: ცივი და ცხელი წყალი უწყვეტად, დღე-ღამის განმავლობაში, წყლის მარაგი სარეზერვო სისტემიდან ავარიის შემთხვევაში;
9.2.13 მუდმივი ელექტროგანათება; მინიმუმ ერთი ნათურა (100 V) შენობის ყველა სეგმენტში, ალტერნატიული ელექტროენერგიის წყარო, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შენობის სრულ განათებას უზრუნველყოფს;
9.2.14 გათბობა: ცენტრალური გათბობა მთელ ობიექტზე _ X-IV თვეებში ტემპერატურა 20-22^{0}C (ოთახში დამონტაჟებულ გამათბობელს უნდა ჰქონდეს ინდ. რეგულატორი);
9.2.15 კონდიცირების სისტემა საწოლ ოთახში;
9.2.16 გამართული, სადაც შესაძლებელია, ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემასთან მიერთებული ან კოლექტორით უზრუნველყოფილი კანალიზაცია;
9.2.17 ნაგვის გატანა ოფიციალურად არსებულ ნაგავსაყრელებზე; ხოლო იქ, სადაც ეს შეუძლებელია, ნარჩენების გატანა გარემოსათვის მინიმალური ზიანის მიყენებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;
9.2.18 სტაციონარული ან/და მობილური სატელეფონო კავშირი შენობაში, მუდმივი ინტერნეტი;
9.2.19 მომსახურების სფეროს შესაბამისი, გამართული ავეჯი;
9.2.20 ბარგის შესანახი უსაფრთხო ადგილი;
9.2.21 მწერებისაგან დამცავი კარ-ფანჯრის ბადეები (სტუმრის მოთხოვნის შესაბამისად);
9.2.22 სარეცხი მანქანა ხელმისაწვდომია სტუმრებისათვის.

9.2.23 კოცონის გაჩაღება ხორციელდება შენობა-ნაგებობებიდან არანაკლებ 30 მ-ის დაშორებით;
9.2.24 ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას, ხანძრის შესაძლო წყაროდან არაუმეტეს 20 მეტრში.

9.3 სტუმრის ოთახი
9.3.1 ერთადგილიანი ოთახი მინიმუმ _ 10 მ^2;
9.3.2 ორადგილიანი ოთახი მინიმუმ _ 14 მ^2;
9.3.3 სამადგილიანი ოთახი მინიმუმ _ 16 მ^2;
9.3.4 ყოველ დამატებით საწოლზე _ დამატებით 3მ^2 ფართობი;
9.3.5 ერთადგილიანი საწოლი – 90X200 სმ;
9.3.6 ორადგილიანი საწოლი – 150 X200 sმ;
9.3.7 სტუმრებისათვის განკუთვნილ ყველა ოთახს აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი და მინიმუმ 1 ფანჯარა, რომელიც იღება;
9.3.8 ერთფრთიანი ფანჯრის ზომა - მინიმუმ 1350სმ X 600სმ;
9.3.9 ორფრთიანი ფანჯრის ზომა - მინიმუმ 1350სმ X 1200სმ;
9.3.10 ლოგინი და თეთრეული ღამის გასათევი ადგილის რაოდენობის შესაბამისად: მატრასი (არაღრუბლოვანი) ან/და ლეიბი, გადასაფარებელი, საბანი, ბალიში, ზეწარი, საბნის კონვერტი, ბალიშისპირი;
9.3.11 პირსახოცი (დიდი და პატარა) – სტუმრების რაოდენობის შესაბამისად;
9.3.12 ტუმბო ან თარო ყოველი სტუმრისათვის;
9.3.13 სკამები სტუმრების რაოდენობის გათვალისწინებით;
9.3.14 სარკე, ნახევარი ტანის დასანახად;
9.3.12 შუქგაუმტარი ფარდები/ჟალუზები;
9.3.13 ნაგვის კალათა;
9.3.14 გაუმჭვირვალე კარი, საკეტით;
9.3.15 განათება: ჭაღი (ჭერზე), ბრა ან ტორშერი საწოლთან (ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით);
9.3.16 შტეფსელი ოთახში 2 ერთ სტუმარზე;
9.3.17 ტანსაცმლის კარადა (სამი საკიდი კაცზე);
9.3.18 დეკორატიული ელემენტები;
9.3.19 პატარა ხალიჩა საწოლთან;
9.3.20 თეთრეულის გამოცვლა კვირაში ერთხელ, პირსახოცის გამოცვლა კვირაში 2-ჯერ.

9.4 მოსასვენებელი და სასადილო ოთახები
9.4.1 მოსასვენებელი ოთახი ან ჰოლი (განცალკევებით სასადილოსაგან): ფერადი ტელევიზორი (სატელიტური ანტენით); დაბალი მაგიდა და სავარძლები სტუმრების რაოდენობის მიხედვით; ტრადიციული დეკორატიული ელემენტები; სამაგიდო თამაშები (მაგ. ნარდი, ჭადრაკი ან სხვ.);
9.4.2 სასადილო ოთახი: მაგიდა და სკამები სტუმრების რაოდენობის გათვალისწინებით; ტრადიციული დეკორატიული ელემენტები.

9.5 სანიტარული კვანძი
9.5.1 სანიტარული კვანძი მხოლოდ შენობაში. ოთახების 50%-ს აქვს პირადი სანიტარული კვანძი, ასევე მინიმუმ 4 კაცზე გათვალისწინებულია ერთი სანიტარული კვანძი;
9.5.2 სანიტარული კვანძის საერთო მდგომარეობა და რემონტი უნდა ქმნიდეს სიახლისა და სისუფთავის შთაბეჭდილებას;
9.5.3 სანიტარული კვანძის ფართობი - არანაკლებ 5 კვ.მ (თუ სააბაზანო და ტუალეტი ცალ-ცალკეა - სააბაზანო - 2.9 კვ.მ, ტუალეტი - 2.1 კვ.მ)9.5.4 სანიტარული კვანძი არ უნდა იყოს გამავალი სამზარეულოში ან სასადილო ოთახში;
9.5.5 გამართული ვენტილაცია, სარკმელი სანიტარულ კვანძში;
9.5.6 საშხაპე ან აბაზანა;
9.5.7 ფარდა აბაზანაში ან დახურული საშხაპე;
9.5.8 თარო პირსაბანთან და საშხაპესთან (აბაზანასთან);
9.5.9 პირსახოცის ჩამოსაკიდი (ორი კაუჭით);
9.5.10 ტანსაცმლის საკიდი (სამი კაუჭით);
9.5.11 პირსაბანი;
9.5.12 სარკე პირსაბანთან, განათებით;
9.5.13 უნიტაზი;

9.5.14 უნიტაზის საწმენდი ჯაგრისი;
9.5.15 ნაგვის კალათა ერთჯერადი პოლიეთილენის პარკით;
9.5.16 თხევადი საპონი;
9.5.17 ტუალეტის ქაღალდის საკიდი და ტუალეტის ქაღალდი;
9.5.18 კბილის ჯაგრისის ჩასადები ჭიქა;
9.5.19 გაუმჭვირვალე კარი, იკეტება შიგნიდან;
9.5.20 შტეფსელი;
9.5.21 შამპუნი;
9.5.22 თმის ფენი
9.5.23 საერთო სანიტარულ კვანძის სისუფთავის დაცვა.

10 კატეგორია - ინდივიდუალური საცხოვრებელი ერთეული, „3 მზე“

10.1 მინიმალური ფართობი 4 კაცზე – 60 $მ^2$; ყოველ დამატებით კაცზე - 5 $მ^2$;
10.2 მინიმალური საცხოვრებელი ფართი და დამხმარე სათავსები: საძინებელი (საძინებლები), მოსასვენებელი ოთახი, სამზარეულო სასადილო კუთხით, სააბაზანო/ტუალეტი, ჰოლი, აივანი;
10.3 ინდივიდუალურ საცხოვრებელ ერთეულს აქვს მყარი ყრუ კარი, რომელიც იკეტება გასაღებით, გარედან და შიგნიდან;
10.4 თუ ეს პუნქტი განსხვავებულ მოთხოვნებს არ ითვალისწინებს, ინდივიდუალური საცხოვრებელი ერთეულის საერთო მდგომარეობა, შენობისა და ოთახების აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე სტანდარტის მე-9 ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

10.6 სამზარეულოს აღჭურვილობა
10.6.1 გამართული ვენტილაცია;
10.6.2 ოთხსანთლიანი ქურა, ღუმლით;
10.6.3 გამწოვი;
10.6.4 ჭურჭელი: ჩაის და სადილის სერვიზი, ჭიქები, დანა-ჩანგალი, კოვზები (სუფრის და ჩაის) - ადგილების რაოდენობის მიხედვით;
10.6.5 მჭრელი დანა;
10.6.6 საჭრელი დაფა, ჩამჩა, ქაფქირი, ციცხვი, საწური, სახეხი;
10.6.7 ქვაბები (მინიმუმ 2);
10.6.8 ტაფები (მინიმუმ 2);
10.6.9 ნაგვის კალათა ერთჯერადი პოლიეთილენის პარკით;
10.6.10 ბოთლის გასახსნელი;
10.6.11 ცხელი ჭურჭლის ასაღები და სადგარი;
10.6.12 ჭურჭლის გასამშრალებელი ტილო;
10.6.13 კარადა ჭურჭლისათვის;
10.6.14 სადილის მოსამზადებელი მაგიდა;
10.6.15 გამწმენდი საშუალებები;
10.6.16 მაცივარი;
10.6.17 ყავის აპარატი, ელექტროჩაიდანი;
10.6.18 ცოცხი, აქანდაზი, იატაკის ჯოხი, ტილო.

11 კატეგორია _ საოჯახო სასტუმრო სახლი, „4 მზე“

11.1 ზოგადი მოთხოვნები
11.1.1 მშვიდი და სუფთა გარემო;
11.1.2 ადგილობრივი პროდუქტები და სურსათი ხელმისაწვდომია შემოგარენში (სოფლის სასტუმრო სახლის შემთხვევაში _ მასპინძლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქტის შეძენის შესაძლებლობა);
11.1.3 სტუმრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;
11.1.4 აღჭურვილობის ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი ყოველი ახალი სტუმრის მიღებისას;
11.1.5 ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია თვალსაჩინო ადგილზე;
11.1.6 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და საერთო სისუფთავის დაცვა;
11.1.7 პირველი დახმარების აფთიაქი; ინფორმაცია ჯანდაცვის უახლოესი ობიექტების შესახებ;

11.1.8 მეპატრონის/მენეჯერის ტელეფონის ნომერი თვალსაჩინო ადგილზე;
11.1.9 ტურისტული საინფორმაციო ფურცლები, ბუკლეტები (ინგლისურ ენაზე _ მარშრუტები, კატალოგები და სხვ.) ასევე ინფორმაცია სახლისა და შემოგარენის შესახებ;
11.1.10 მასპინძელს და მომსახურე პერსონალს აქვს გავლილი სპეციალური ტრენინგი სტუმრის დახვედრაში (მათ შორის უსაფრთხოების წესების შესახებ);
11.1.11 ოთახის დაჯავშნის სერვისი: წინასწარი დაჯავშნის დავთრის წარმოება; რეგისტრაციის დასტური, პირობები ელ-ფოსტის ან/და ინტერნეტის მეშვეობით;
11.1.12 სტუმრის წიგნი;
11.1.13 მასპინძელი (ან მისი ოჯახის წევრი) მომსახურებისათვის აუცილებელ დონეზე ფლობს მიზნობრივი ბაზრის ენას;
11.1.14 საუზმე, ვახშამი (შეთავაზებული პროდუქტების სულ ცოტა 50% უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივი წარმოების ნატურალურ პროდუქტს);
11.1.15 სიახლოვე კულტურულ-ისტორიულ ძეგლთან ან/და ბუნებრივ რეკრეაციულ რესურსთან (მდინარე, ტბა, ზღვა, დაცული ტერიტორია, ნაკრძალი და ა.შ);
11.1.16 სოფლის სასტუმრო სახლის შემთხვევაში - საინტერესო მეურნეობა (მაგ., მარანი, თონე, კარგად მოვლილი ბაღი ან ვენახი);
11.1.17 პროგრამის შეთავაზება (მაგ., ექსკურსია, ცხენებით გასეირნება, ადგილობრივ დღესასწაულზე დასწრება და სხვა);
11.1.18 დამატებითი მომსახურების პაკეტი (მაგ., დამატებითი კვება, დალაგება, გარეცხვა, ძიძა და სხვა);
11.1.19 ყავის ან ჩაის ასადუღებელი მოწყობილობა ხელმისაწვდომია სტუმრებისათვის;
11.1.20 პრეისკურანტი თვალსაჩინო ადგილზე.
11.1.21 უთოს შეთავაზება;
11.1.22 სტუმრისათვის ხელმისაწვდომია სარეცხი მანქანა;
11.1.23 ინტერნეტი ხელმისაწვდომია სახლში.

11.2 შენობა, ეზო და მისი მიმდებარე ტერიტორია
11.2.1 კეთილმოწყობილი მიმდებარე ტერიტორია;
11.2.2 მოკირწყლული, მოხრეშილი ან მოასფალტებული მისასვლელი შენობასთან;
11.2.3 მისადგომობა: გამართული, აუცილებელი საგზაო ნიშნებით აღჭურვილი, მოასფალტებული გზა;
11.2.4 მანქანის გასაჩერებელი ადგილი სტუმრების რაოდენობის გათვალისწინებით (ყოველ 4 სტუმარზე ერთი ადგილი);
11.2.5 ეზო დეკორატიული გამწვანებით/ბაღით (სოფლის სასტუმრო სახლის შემთხვევაში - კოცონის დასანთები ადგილი) და მოსასვენებელი კუთხით;
11.2.6 სარეკრეაციო/გასართობი მოწყობილობები (მაგ., საცურაო აუზი, საუნა, მაგიდის ჩოგბურთი, საბილიარდო);
11.2.7 რეგიონისათვის დამახასიათებელი ტრადიციული შენობა ან შენობა ტრადიციული ელემენტებით და მოზრდილი აივნით;
11.2.8 დაუზიანებელი შენობა (ბზარების გარეშე);
11.2.9 შენობის გადახურვა-მოპირკეთებისას არ არის გამოყენებული ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე მასალები (მაგ., აზბესტის მასალით გადახურვა);
11.2.10 სუფთა იატაკი და კედლები (ობის, ლაქებისა და ნესტის გარეშე);
11.2.11 გადახურული და განათებული მთავარი შესასვლელი;
11.2.12 აბრა (კატეგორიის მითითებით) შენობაზე ან ეზოს ჭიშკარზე;
11.2.13 წყალმომარაგება: ცივი და ცხელი წყალი უწყვეტად, დღე-ღამის განმავლობაში, წყლის მარაგი სარეზერვო სისტემიდან ავარიის შემთხვევაში;
11.2.14 მუდმივი ელექტროგანათება; მინიმუმ ერთი ნათურა (100 V), შენობის ყველა სეგმენტში; ალტერნატიული ელექტროენერგიის წყარო, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შენობის სრულ განათებას უზრუნველყოფს;
11.2.15 გათბობა: ცენტრალური გათბობა მთელ ობიექტზე _ X-IV თვეებში ტემპერატურა 20-22^{0}C (ოთახში დამონტაჟებულ გამათბობელს უნდა ჰქონდეს ინდ. რეგულატორი);
11.2.16 გაგრილება: კონდიცირება სტუმრის ოთახში, სასადილო და მოსასვენებელ ოთახში;
11.2.17 გამართული, სადაც შესაძლებელია, ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემასთან მიერთებული ან კოლექტორით უზრუნველყოფილი კანალიზაცია;
11.2.18 ნაგვის გატანა ოფიციალურად არსებულ ნაგავსაყრელებზე; ხოლო იქ, სადაც ეს შეუძლებელია, ნარჩენების გატანა გარემოსათვის მინიმალური ზიანის მიყენებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;
11.2.19 მაღალი ხარისხის ავეჯი;

11.2.20 ბარგის შესანახი უსაფრთხო ადგილი;
11.2.21 სტაციონარული ან/და მობილური სატელეფონო კავშირი შენობაში, მუდმივი ინტერნეტი;
11.2.22 მწერებისაგან დამცავი კარ-ფანჯრის ბადეები;
11.2.23 სახლის შესასვლელში პანდუსი უნარშეზღუდული პირებისათვის (სიგანე - 1-1.1მ, დახრილობა - 30-35 გრადუსი);
11.2.24 კოცონის გაჩაღება ხორციელდება შენობა-ნაგებობებიდან არანაკლებ 30 მ-ის დაშორებით;
11.2.25 ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას, ხანძრის შესაძლო წყაროდან არაუმეტეს 20 მეტრში.

11.3 სტუმრის ოთახი
11.3.1 ერთადგილიანი ოთახი მინიმუმ 10 $მ^2$;
11.3.2 ორადგილიანი ოთახი მინიმუმ 16 $მ^2$;
11.3.3 სამადგილიანი ოთახი მინიმუმ 18 $მ^2$;
11.3.4 ყოველ დამატებით საწოლზე - დამატებით 3 $მ^2$ ფართობი;
11.3.5 ერთადგილიანი საწოლი – 90 X200 სმ;
11.3.6 ორადგილიანი საწოლი – 150 X 200 სმ;
11.3.7 სტუმრებისათვის განკუთვნილ ყველა ოთახს აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი და მინიმუმ 1 ფანჯარა, რომელიც იღება;
11.3.8 ერთფრთიანი ფანჯრის ზომა - მინიმუმ 1350სმ X 600სმ;
11.3.9 ორფრთიანი ფანჯრის ზომა - მინიმუმ 1350სმ X 1200სმ;
11.3.10 ლოგინი: მატრასი (არაღრუბლოვანი) ან/და ლეიბი, გადასაფარებელი, საბანი, ბალიში; მაღალი ხარისხის თეთრეული: ზეწარი, საბნის კონვერტი, ბალიშისპირი;
11.3.11 პირსახოცი (დიდი და პატარა) – სტუმრების რაოდენობის შესაბამისად;
11.3.12 ტუმბო ან თარო ყოველი სტუმრისათვის;
11.3.13 სკამი სტუმრების რაოდენობის მიხედვით;
11.3.14 სარკე, ნახევარი ტანის დასანახად;
11.3.15 შუქგაუმტარი ფარდები/ჟალუზები;
11.3.16 ნაგვის კალათა;
11.3.17 ყრუ კარები, საკეტით;
11.3.18 განათება: ჭაღი (ჭერზე), ბრა ან ტორშერი საწოლთან (ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით);
11.3.19 შტეფსელი ოთახში 2 ერთ სტუმარზე;
11.3.20 ტანსაცმლის კარადა (სამი საკიდი სტუმარზე);
11.3.21 დეკორატიული ელემენტები;
11.3.22 პატარა ხალიჩა საწოლთან;
11.3.23 სავარძელი;
11.3.24 მაგიდა;
11.3.25 ბავშვის ლოგინი მოთხოვნის შემთხვევაში;
11.3.26 თეთრეულის გამოცვლა კვირაში ორჯერ, პირსახოცის გამოცვლა ორ დღეში ერთხელ;
11.3.27 სახლის პირველ სართულზე 1 ოთახი უნარშეზღუდული პირებისათვის
11.3.27.1დამატებითი მოთხოვნები ოთახისათვის, რომელიც განკუთვნილია უნარშეზღუდული პირებისათვის: ყველა კარების სიგანე არაუმცირეს 0.9 მ; არ უნდა იყოს ზღურბლი; შტეფსელი და ჩამრთველი იატაკიდან მაქსიმუმ 1-1.2 მ-ზე; კარადაში საკიდები უნდა იყოს 1.1-1.2მ სიმაღლეზე.

11.4 მოსასვენებელი ოთახი
11.4.1 მოსასვენებელი ოთახი ან ჰოლი (განცალკევებით სასადილოსაგან);
11.4.2 ფერადი ტელევიზორი (სატელიტური ანტენით);
11.4.3 მაგიდა და სავარძლები სტუმრების რაოდენობის გათვალისწინებით;
11.4.4 ტრადიციული დეკორატიული ელემენტები;
11.4.5 სამაგიდო თამაშები (მაგ., ნარდი, ჭადრაკი ან სხვ.).

11.5 სასადილო ოთახი
11.5.1 მაგიდები და სკამები სტუმრების რაოდენობის გათვალისწინებით;
11.5.2 ტრადიციული დეკორატიული ელემენტები;
11.5.3 სტუმრებისათვის განკუთვნილი სერვიზი უნდა იყოს მაღალი ხარისხის.
11.5.4 ბარი (გამაგრილებელი და ალკოჰოლური სასმელების არჩევანი).

11.6 სანიტარული კვანძი

11.6.1 სანიტარული კვანძი არის შენობაში. ოთახების 100%-ს აქვს პირადი სანიტარული კვანძი ოთახებიდან შესასვლელით;
11.6.2 სანიტარული კვანძის საერთო მდგომარეობა და რემონტი უნდა ქმნიდეს სიახლისა და სისუფთავის შთაბეჭდილებას;
11.5.3 სანიტარული კვანძის ფართობი - არანაკლებ 5 კვ.მ (თუ სააბაზანო და ტუალეტი ცალ-ცალკეა - სააბაზანო - 2.9 კვ.მ, ტუალეტი - 2.1 კვ.მ)
11.6.4 სანიტარული კვანძი არ უნდა იყოს გამავალი სამზარეულოში ან სასადილო ოთახში;
11.6.5 გამართული ვენტილაცია, სარკმელი სანიტარულ კვანძში;
11.6.6 საშხაპე ან აბაზანა;
11.6.7 ფარდა აბაზანაში ან დახურული საშხაპე;
11.6.8 პირსახოცის ჩამოსაკიდი (ორი კაუჭით);
11.6.9 ტანსაცმლის საკიდი (სამი კაუჭით);
11.6.10 პირსაბანი;
11.6.11 სარკე პირსაბანთან განათებით;
11.6.12 უნიტაზი;
11.6.13 უნიტაზის საწმენდი ჯაგრისი;
11.6.14 ნაგვის კალათა ერთჯერადი პოლიეთილენის პარკით;
11.6.15 თხევადი საპონი;
11.6.16 ტუალეტის ქაღალდის საკიდი და ტუალეტის ქაღალდი;
11.6.17 კბილის ჯაგრისის ჩასადები ჭიქა;
11.6.18 გაუმჭვირვალე კარი, იკეტება შიგნიდან;
11.6.19 შტეფსელი;
11.6.20 შამპუნი;
11.6.21 თმის ფენი
11.6.22 ორი თარო - პირსაბანთან და საშხაპესთან;
11.6.23 ერთჯერადი ქაღალდის პირსახოცი;
11.6.24 ხელჩასაკიდი საშხაპესთან (აბაზანასთან) ან ტუალეტთან;
11.6.25 სანიტარული კვანძის სისუფთავის დაცვა.
11.6.26 სახლის პირველ სართულზე ოთახს უნარშეზღუდული პირებისათვის უნდა ჰქონდეს შესაბამისად აღჭურვილი სანიტარული კვანძი
11.6.26.1 დამატებითი მოთხოვნები სანიტარული კვანძისათვის, რომელიც განკუთვნილია უნარშეზღუდული პირებისათვის: კარების სიგანე არაუმცირეს 0.9 მ; არ უნდა იყოს ზღურბლი; შტეფსელი და ჩამრთველი იატაკიდან მაქსიმუმ 1-1.2 მ-ზე; პირსაბანი დამონტაჟებული ჩვეულებრივზე დაბლა; სარკე, ფენი, სასაპნე, შამპუნი განთავსებული უნდა იყოს მჯდომარე ადამიანის სიმაღლეზე.

12 კატეგორია _ ინდივიდუალური საცხოვრებელი ერთეული, „4 მზე“

12.1 მინიმალური ფართობი 4 კაცზე – 70 $მ^2$; ყოველ დამატებით კაცზე - 5 $მ^2$;
12.2 მინიმალური საცხოვრებელი ფართი და დამხმარე სათავსები: საძინებელი (საძინებლები), მოსასვენებელი ოთახი სამუშაო კუთხით, სამზარეულო სასადილო კუთხით, სააბაზანო/ტუალეტი, ჰოლი, აივანი;
12.3 ინდივიდუალურ საცხოვრებელ ერთეულს აქვს მყარი ყრუ კარი, რომელიც იკეტება გასაღებით, გარედან და შიგნიდან;
12.4 განცალკევებით მდგარი ინდივიდუალური საცხოვრებელი ერთეულის ეზოს აქვს ღობე და ჭიშკარი, რომელიც იკეტება გასაღებით, გარედან და შიგნიდან;
12.5 თუ ეს პუნქტი განსხვავებულ მოთხოვნებს არ ითვალისწინებს, ინდივიდუალური საცხოვრებელი ერთეულის საერთო მდგომარეობა, შენობისა და ოთახების აღჭურვილობა უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე სტანდარტის მე-11 ქვეპუნქტის მოთხოვნებს.
12.6 სამუშაო კუთხე: საწერი მაგიდა, მაგიდის ნათურა, წიგნის თარო, შტეფსელი, სკამი.

12.6 სამზარეულოს აღჭურვილობა

12.6.1 გამართული ვენტილაცია;
12.6.2 ოთხსანთლიანი ქურა;
12.6.3 მიკროტალღოვანი ღუმელი;
12.6.4 გამწოვი;

12.6.5 სამზარეულოს ერთიანი სრული სერვიზი ჭიქები, დანა-ჩანგალი, კოვზები (სუფრის და ჩაის) სტუმრების რაოდენობის მიხედვით;
12.6.6 მჭრელი დანა;
12.6.7 საჭრელი დაფა;
12.6.8 ჩამჩა, ქაფქირი, ციცხვი, საწური, სახეხი;
12.6.9 ქვაბები (მინიმუმ 2);
12.6.10 ტაფები (მინიმუმ 2);
12.6.11 ცხელი ჭურჭლის ასაღები და სადგარი;
12.6.12 ნაგვის კალათა ერთჯერადი პოლიეთილენის პარკით;
12.6.13 ბოთლების გასახსნელი;
12.6.14 ჭურჭლის გასამშრალებელი ტილო;
12.6.15 კარადა ჭურჭლისათვის;
12.6.16 სადილის მოსამზადებელი მაგიდა;
12.6.17 გამწმენდი საშუალებები;
12.6.18 მაცივარი;
12.6.19 სრული ტექნიკური აღჭურვილობა სამზარეულოში (ექსპრესი ყავისათვის, ბლენდერი, მტვერსასრუტი და სხვა);
12.6.20 ცოცხი, აქანდაზი, იატაკის ჯოხი, ტილო.

II თავი - აგროტურისტული მეურნეობა

13 სოფლის მეურნეობა

13.1 ზოგადი მოთხოვნები

სავალდებულოა:

13.1.1 აგროტურისტულ მეურნეობას უნდა ჰქონდეს სულ მცირე სოფლის მეურნეობის ერთი მიმართულება/ შეთავაზება (მაგ. მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეხილეობა და ა.შ);
13.1.2 მშვიდი და სუფთა გარემო (დასაშვებია ტრადიციული სოფლის მეურნეობის დამახასიათებელი სუნი და ხმაური, გარდა სპეციფიკური, მძაფრი სუნისა და ხმაურისა);
13.1.3 სტუმრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;
13.1.4 აღჭურვილობის ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი ყოველი ახალი სტუმრის მიღებისა წინ და/ან გასტუმრებისას;
13.1.5 ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია თვალსაჩინო ადგილზე;
13.1.6 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და საერთო სისუფთავის დაცვა;
13.1.7 პირველი დახმარების აფთიაქი;
13.1.8 ყველა სტუმარს აქვს შესაძლებლობა დაათვალიეროს მეურნეობის ტერიტორია, საწარმოო სივრცე და მიიღოს ინფორმაცია მეურნეობის და მომსახურების შესახებ;
13.1.9 აგროტურისტული მეურნეობის ტერიტორიაზე სტუმრებისათვის გამოყოფილია მოსასვენებელი სივრცეები, მაგ.: ფანჩატური, მაგიდა სკამებით, ქოლგები, ა.შ.;

სასურველია:

13.1.10 აგროტურისტული მეურნეობა სერტიფიცირებულია, როგორც ბიომეურნეობა და/ან მინიჭებული აქვს აგროეკოლოგიური ნიშანი;
13.1.11 იწარმოება ტრადიციული ან/და თუნდაც ერთი ხარისხის ნიშნის (ადგილწარმოშობის, გეოგრაფიული აღნიშვნის და სხვ.) მქონე პროდუქტი;
13.1.12 მეურნეობის ტერიტორიაზე მოწყობილია სადემონსტრაციო ფართობები სოფლის მეურნეობის ორგანული ან აგროეკოლოგიური პრინციპების გათვალისწინებით;
13.1.13 მეურნეობიდან შესაძლებელია ადგილზე მოყვანილი პროდუქტის შეძენა;
13.1.14 მეურნეობის ტერიტორიაზე გამოყოფილია ბავშვებისათვის გასართობი სივრცე (ქვიშის მოედანი, სასრიალო, საბავშვო აუზი, საქანელა და ა.შ);

13.1.15 შესაძლებელია ცხენების ტურის ორგანიზება გამოცდილ გამყოლთან/გიდთან ერთად;
13.1.16 ველოსიპედები ხელმისაწვდომია სტუმრებისათვის (მინიმუმ 4 ცალი);
13.1.17 საფეხმავლო ტური ხელმისაწვდომია სტუმრებისათვის;
13.1.18 კულინარიული (გასტრონომიული) ტური ხელმისაწვდომია სტუმრისათვის;
13.1.19 შესაძლებელია შემეცნებითი და სასწავლო ტრენინგების და შეხვედრების ორგანიზება;
13.1.20 მეურნეობის ტერიტორიაზე შესაძლებელია სხვადასხვა სახის ღონისძიებების, მათ შორის ფესტივალების, გამოფენების, ქორწილების ორგანიზება და სხვ.;
13.1.21 მეპატრონის/მენეჯერის ტელეფონის ნომერი თვალსაჩინო ადგილზე;
13.1.22 მეურნეობაში თვალსაჩინო ადგილას მოწყობილია ადგილობრივი პროდუქტის გასაყიდი კუთხე.
13.1.23 მეურნეობა თანამშრომლობს ტუროპერატორებთან, გიდებთან, სააგენტოებთან ტურისტული ჯგუფების მიღებასთან დაკავშირებით;
13.1.24 მასპინძელს აქვს გავლილი სპეციალური ტრენინგი სტუმრის დახვედრაში (მათ შორის უსაფრთხოების წესების შესახებ).

13.2 ძირითადი მიმართულებები/შეთავაზებები

13.2.1 **მევენახეობა-მეღვინეობა**

სავალდებულოა:
13.2.1.1 ვენახი, ფართობი - მინიმუმ 0.3 ჰა;
13.2.1.2 ტრადიციული წესით ღვინის დაყენება;
13.2.1.3 ღვინის დეგუსტაცია სადეგუსტაციო სივრცეში/დარბაზში.

სასურველია:
13.2.1.4 ტრადიციული მარანი;
13.2.1.5 რთველში მონაწილეობა;
13.2.1.6 ყურძნის პროდუქტების (ჩურჩხელა, ბადაგი) დამზადების მასტერკლასი
13.2.1.7 ყურძნის დაწურვის მასტერკლასი;
13.2.1.8 არყის გამოხდის მასტერკლასი.

13.2.2 **მეხილეობა-მეკენკრეობა**

სავალდებულოა:
13.2.2.1 ხეხილის ბაღი, ფართობი - მინიმუმ 0.3 ჰა;
13.2.2.2 შინაურ პირობებში დამზადებული პროდუქტის/კერძის დეგუსტაცია.

სასურველია:
13.2.2.4 ხეხილი მოვლის მასტერ-კლასი (მყნობა, სხვლა-ფორმირება, კრეფა და ა.შ);
13.2.2.5 ხმელი ხილის, შინაური მურაბების, ჩაის, წვენების, ტყლაპის, ბაქმაზი და სხვა პროდუქტის დამზადების მასტერკლასი;
13.2.2.6 ხილის კრეფაში მონაწილეობა.

13.2.3 **მინდვრის კულტურები**

სავალდებულოა:
13.2.3.1 მარცვლოვნები და/ან პარკოსანი კულტურების ყანა, ფართობი - მინიმუმ 0.3 ჰა;
13.2.3.2 შინაურ პირობებში დამზადებული პროდუქტის/კერძის დეგუსტაცია.

სასურველია:
13.2.3.4 თესვაში და/ან მოსავლის აღებაში მონაწილეობა;
13.2.3.5 პურის ცხობის მასტერკლასი
13.2.3.6 ლუდის ხარშვის მასტერკლასი;
13.2.3.7 ლუდის დეგუსტაცია სადეგუსტაციო სივრცეში/დარბაზში.

13.2.4 **მებოსტნეობა-მებაღჩეობა**

სავალდებულოა:

13.2.4.1 ბოსტანი, ბაღჩა, ფართობი - მინიმუმ 0.3 ჰა;
13.2.4.2 საკუთარ ბოსტანში მოწეული პროდუქტით დამზადებული კერძის დეგუსტაცია.

სასურველია:
13.2.4.4 მოსავლის აღებაში მონაწილეობა.

13.2.5 **მეცხოველეობა**

სავალდებულოა:
13.2.5.1 მეცხოველეობის ფერმა (მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ფრინველი, თევზი);
13.2.5.2 ფერმაში არსებული ცხოველების დათვალიერება - დაკვირვება.

სასურველია:
13.2.5.3 მეურნეობაში დაცულია ადგილობრივი ჯიშებისა ან/და სახეობების ფრინველი ან ცხოველი, რომლის შენარჩუნება მნიშვნელოვანია ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვისათვის.
13.2.5.4 ცხოველების მოვლის მასტერკლასი;
13.2.5.5 ტრადიციული წესით ყველის ამოყვანის მასტერკლასი;
13.2.5.6 ხორცის პროდუქტების (ლორი) დამზადების მასტერკლასი;
13.2.5.7 საკუთარი ფერმის პროდუქტით დამზადებული კერძის დეგუსტაცია;
13.2.5.8 მეცხოველეობის პროდუქტების დეგუსტაცია სადეგუსტაციო სივრცეში/დარბაზში;
13.2.5.9 რძის პროდუქტების დასამზადებელი საწარმო (სადაც შესაძლებელია დამზადების პროცესში მონაწილეობის მიღება).

13.2.6 **მეფუტკრეობა**

სავალდებულოა:

13.2.6.1 საფუტკრე - მინიმუმ 10 ოჯახი;
13.2.6.2 საფუტკრის დათვალიერება, საფუტკრეში მუშაობა მასპინძელთან ერთად, ფუტკრის მოვლა და სხვ.;
13.2.6.3 თაფლის დეგუსტაცია სადეგუსტაციო სივრცეში/დარბაზში.

სასურველია:

13.2.6.4 თაფლის გამოწურვის მასტერკლასი;
13.2.5.5 მეფუტკრეობის პროდუქტების ჩვენება, აპითერაპია;

13.3 ორგანული და აგროეკოლოგიური მეთოდები

სავალდებულოა:

13.3.1 მეურნეობაში მოშენებულია მემცენარეობის ადგილობრივი სახეობები და ჯიშები;
13.3.2 მეწარმე ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისათვის გამოიყენება გარემოსდამზოგი ტექნოლოგიები;
13.3.3 მინდვრების გასასუფთავებლად არ გამოიყენება ცეცხლი;
13.3.4 ნაკელის გადაწვის ადგილი მდებარეობს წყალსატევებიდან არანაკლებ 25 მეტრის მოშორებით;
13.3.5 მეწარმე მავნებლებისა და დაავადებების მართვისათვის მიმართავს გარემოსდამზოგ მეთოდებს
13.3.6 შინაური ცხოველების შენახვა და კვება მათი ბუნებრივი ინსტინქტების გათვალისწინებით;
13.3.7 თევზაობისას არა გამოიყენება ფეთქებადი და ტოქსიკური ნივთიერებები
13.3.8 გადამუშავების პროცესში გამოიყენება მხოლოდ სუფთა წყალი
13.3.9 ნარჩენების შენახვა და გადაყრა ხდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში და არა ბუნებრივ ან წყლის ეკოსისტემებში.

სასურველია:

13.3.10 მეწარმე ხელს უწყობს მავნებლების ბუნებრივი მტრებისა და ანტაგონისტების გამრავლებას შესაბამისი საცხოვრებელი გარემოს შექმნით (მეურნეობის მახლობლად ხეების, ბუჩქების დარგვა, ცოცხალი ღობეების მოწყობა);

13.3.11 წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის შემცირება ხდება ციცაბო ადგილებში მცენარეული საფარის აღდგენით; ტერასირებისა და ქარსაფრის მოწყობით;
13.3.12 მეწარმე იყენებს ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებს (მაგ., მზის ან ქარის ენერგია);
13.3.13 ახარისხებს და გადაამუშავებს ნარჩენებს, ორგანული ნარჩენები გამოიყენება კომპოსტის დასამზადებლად..

14 შენობები, ეზო, ტერიტორია

სავალდებულოა:

14.1 მეურნეობის ტერიტორია შემოსაზღვრულია ღობით, რომლის მასალა უვნებელია გარემოსთვის, ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობისათვის;
14.2 ეზო დეკორატიული გამწვანებით/ბაღით;
14.3 აბრა (კატეგორიის მითითებით) ეზოს ჭიშკარზე;
14.4 მობილური სატელეფონო კავშირი ხელმისაწვდომია შემოგარენში;
14.5 კოცონის გაჩაღება ხორციელდება შენობა-ნაგებობებიდან არანაკლებ 30 მ-ის დაშორებით;
14.6 ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას, ხანძრის შესაძლო წყაროდან არაუმეტეს 20 მეტრში.;
14.7 დაუზიანებელი შენობა (ბზარების გარეშე);
14.8 სუფთა იატაკი და კედლები (ობის, ლაქებისა და ნესტის გარეშე);
14.9 შენობის გადახურვა-მოპირკეთებისას არ უნდა იყოს გამოყენებული ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე მასალები;
14.10 გათბობა: ტემპერატურა შენობებში - X-IV თვეებში 18-20^{0}C;
14.11 გაგრილება: მოთხოვნის შემთხვევაში ვენტილატორით უზრუნველყოფა;
14.12 ცივი და ცხელი წყალი უწყვეტად14.13 მეურნეობის ტერიტორიაზე ყველა ზონასთან განთავსებულია ნაგვის ურნები;
14.14 მუდმივი ელექტროგანათება მეურნეობის ტერიტორიაზე და ყველა სამეურნეო დანაყოფთან.
14.15 ნაგვის გატანა ოფიციალურად არსებულ ნაგავსაყრელებზე; ხოლო იქ, სადაც ეს შეუძლებელია, ნარჩენების გატანა გარემოსათვის მინიმალური ზიანის მიყენებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად;
14.16 მუდმივი ელექტროგანათება მეურნეობის ტერიტორიაზე და ყველა სამეურნეო დანაყოფთან (თითო ნათურა 60 ვტ ან ეკვივალენტი)

სასურველია:

14.17 ელემენტარული მისადგომობა
14.18 მეურნეობის ტერიტორიაზე განთავსებულია საინტერპრეტაციო (ტერიტორიის) რუკა, სადაც მოცემულია ინფორმაცია მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების შესახებ;
14.19 მეურნეობის ტერიტორიაზე თითოეულ ზონასთან განთავსებულია ქცევის წესები;
14.20 მეურნეობის ტერიტორიაზე განთავსებულია ზონების მანიშნებლები.

15 სანიტარული კვანძი

სავალდებულო:

15.1 სანიტარული კვანძი შენობის შიგნით ან კაპიტალური სანიტარული კვანძი შენობის გარეთ, მინიმუმ ერთი 15 კაცზე;
15.2 სანიტარული კვანძი უნდა იყოს სუფთა;
15.3 სანიტარული კვანძის იატაკი, კედლები და ჭერი უნდა იყოს მოწყობილი მასალისგან, რომლის მორეცხვა და დეზინფიცირება არის შესაძლებელი;
15.4 სანიტარული კვანძის ფართობი - არანაკლებ 3 კვ.მ
15.5 სანიტარული კვანძი არ უნდა იყოს გამავალი სამზარეულოში ან სასადილო ოთახში;
15.6 გამართული ვენტილაცია, სარკმელი სანიტარულ კვანძში;
15.7 პირსაბანი;
15.8 თარო პირსაბანთან;
15.9 ერთჯერადი ქაღალდის პირსახოცი

15.10 სარკე პირსაბანთან;
15.11 უნიტაზი;
15.12 უნიტაზის გასაწმენდი ჯაგრისი;
15.13 ნაგვის კალათა ერთჯერადი პოლიეთილენის პარკით;
15.14 თხევადი საპონი;
15.15 ტუალეტის ქაღალდისათვის საკიდი და ტუალეტის ქაღალდი;

16 კვებითი მომსახურება, დეგუსტაცია

16.1 კვებითი მომსახურების, დეგუსტაციის სივრცე/დარბაზი

სავალდებულოა:

16.1.1 მდებარეობს ცხოველთა სადგომიდან მოშორებით - მინიმუმ 30 მ-ით;
16.1.2 დახურულ სივრცეში ფართობი ერთ კაცზე - 2.25 $მ^2$. ღია სივრცეში - 1.6$მ^2$;
16.1.3 შიდა მოპირკეთებისთვის გამოიყენება ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო მასალები.

16.2 სამზარეულოს სათავსოს მოწყობა-აღჭურვა

სავალდებულოა:
16.2.1 კედლების მოპირკეთებულია სპეციალური ფილებით ან სველი წესით დალაგებისა და დეზინფექციისადმი გამძლე მასალით არანაკლებ 1.7მ-ის სიმაღლემდე;
16.2.2 სამზარეულოს ფანჯრები აღჭურვილია მწერებისაგან დამცავი ბადით;
16.2.3 მაცივარი მუშა მდგომარეობაშია: არაუმეტეს + 5^0C , საყინულე -18^0C;
16.2.4 სამზარეულოს ინვენტარი ინახება სტელაჟებზე იატაკიდან არანაკლებ 0,5მ სიმაღლეზე, სასადილო ჭურჭელი - დახურულ კარადაში ან თაროებზე;
16.2.5 ჩამომტვრეული ნაპირების, ბზარების, დაზიანებული ემალის მქონე და დეფორმირებული ჭურჭელი არ მოიხმარება;
16.2.6 დაუშვებელია ერთჯერადი ჭურჭლისა და აღჭურვილობის ხელმეორედ გამოყენება;
16.2.7 წყალმომარაგების სისტემის წყლის ხარისხი შეესაბამება სასმელი წყლისადმი წაყენებულ ჰიგიენურ მოთხოვნებს.

16.3 სურსათის შენახვა

სავალდებულოა:
16.3.1 პროდუქტები ინახება მაცივარში ან კარადებში დადგენილი კლასიფიკაციისა და მათი სახეობის მიხედვით: სასურსათო პროდუქტების შენახვისას მკაცრადაა დაცული მათი გვერდიგვერდ განთავსების წესები, ნორმები, ვარგისიანობის ვადები და შენახვის პირობები.
16.3.2 მორჩენილი საჭმელი აუცილებელია გაცივდეს და შეინახოს +4-+2^0C ტემპერატურის პირობებში არა უმეტეს 18 საათის განმავლობაში;
16.3.3 დაუშვებელია ახალმომზადებული კერძის შერევა წინა დღეს მომზადებულ კერძთან.

16.4 დალაგება

სავალდებულოა:
16.4.1 დალაგება მიმდინარეობს ყოველდღიურად სველი წესით, სარეცხი და სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით;
16.4.2 მაგიდები მუშაობის დამთავრების შემდეგ გულდასმით ირეცხება 40-50^0C ტემპერატურის ცხელი წყლით, სარეცხი და სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით, რის შემდეგაც მშრალდება სუფთა ქსოვილით;
16.4.3 საჭმლის ნარჩენები გროვდება სპეციალური ნიშანდების მქონე ტარაში, რომელიც ყოველი დაცლის ირეცხება სარეცხი საშუალებებით, შემდგომ დამუშავდება სადეზინფექციო ხსნარით, გაივლება 40-50^0C ტემპერატურის ცხელ წყალში და გაშრება. საჭმლის ნარჩენებისთვის განკუთვნილი ტარის გასარეცხი ადგილი ცალკეა გამოყოფილი.

16.5 ჭურჭლის ხელით ან ჭურჭლის სარეცხი მანქანით რეცხვა

სავალდებულოა:

16.5.1 ჭურჭელი ირეცხება არანაკლებ 40^{0}C ტემპერატურის წყლითა და სარეცხი საშუალებებით;
16.5.2 ჭურჭლის გავლება აუცილებელია არანაკლებ 65^{0}C ტემპერატურის ცხელი გამდინარე წყლით;
16.5.3 ჭურჭელი შრება საწრეტზე.

სასურველია:

16.5.4 სამზარეულოში განთავსებულია ორგანყოფილებიანი ნიჟარები - სასადილო და მინის ჭურჭლისათვის.

16.6 მენიუ

სავალდებულოა:

16.6.1 შეთავაზებული კერძები, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების უმრავლესობა ადგილობრივი წარმოებისაა;
16.6.2 შემოსული ნედლეული და ადგილზე მოყვანილი და გადამუშავებული სურსათი შეესაბამება სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს (HACCP ან ჰიგიენის გამარტივებული მოთხოვნები).

სასურველია:

16.6.3 მენიუში შედის ბიოპროდუქტებისაგან დამზადებული კერძები;
16.6.4 მენიუში შედის ტრადიციული კერძები;
16.6.5 მენიუში შედის ვეგეტარიანული და ვეგანური კერძები;

17 განსაკუთრებული მოთხოვნები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის

სასურველია:

17.1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ სტუმრისთვის განკუთვნილ ობიექტებში თავისუფლად მოხვედრის საშუალება (საჭიროების შემთხვევაში შესასვლელად მოწყობილია პანდუსი);
17.2 სტუმრებისათვის განკუთვნილ სან-კვანძებში მოწყობილია სულ მცირე ერთი კაბინა საკანალიზაციო ტრაპით, სასიგნალო ღილაკით, სახელურებით, ხელსაბანის ნიჟარა იატაკიდან 0.80 მეტრის სიმაღლეზე და გვერდითი კედლიდან 0.20 მეტრის დაცილებით;
17.3 კვების ობიექტში მოწყობილია მაგიდები, დახლები იატაკის დონიდან განთავსებულია 0.80 მეტრის (არანაკლებ 0.67 მ.) სიმაღლეზე. ფიქსირებულ მაგიდებს შორის ან მაგიდასა და კედელს შორის გასასვლელი არის არანაკლებ 1.20 მეტრის სიგანის.

18 პერსონალის კვალიფიკაცია და რისკის მართვა

18.1 პერსონალის კვალიფიკაციის მოთხოვნები

სავალდებულოა:

18.1.1 მომსახურე პერსონალი პასუხობს კლიენტთა შეკითხვებს
18.1.2 პერსონალს აქვს გავლილი ტრენინგი მასპინძლობის და კვების მომსახურებასთან დაკავშირებული სურსათის უვნებლობის საკითხებში.

სასურველია:

18.1.3 მინიმუმ ერთ თანამშრომელს აქვს გავლილი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი (საბაზისო ან სრული კურსი)

18.2 რისკის მართვა

სავალდებულოა:

18.2.1 საინფორმაციო კუთხე საგანგებო სიტუაციებისას საჭირო ტელეფონის ნომრებით
18.2.2 პირველადი სამედიცინო დახმარების აღჭურვილობის ხელმისაწვდომია სტუმრისათვის
18.2.3 ექსკურსიები ცხენებით და/ან ჯირითის გაკვეთილები ეწყობა ლიცენზირებულ პირთან / მეგზურთან ერთად.

სასურველია:

18.2.4 ბიზნეს აქვს ადეკვატური დაზღვევა და შესაბამისი სოციალური პასუხისმგებლობა;
18.2.5 ფუტკრები (შესაბამისი აღჭურვილობის, ტანისამოსის და წამლების ქონა).

19 დოკუმენტაციის წარმოება

სავალდებულოა:

19.1.1 სტუმრის შეკვეთის დადასტურება ხდება ელ-ფოსტის, ტელეფონის და/ან წინასწარი დაჯავშნის სისტემის საშუალებით;
19.1.2 მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული მომსახურების ფასების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ადგილზე;
19.1.3 მეურნეობაში ხდება ყველა სტუმრის რეგისტრაცია;
19.1.4 მიღებულ მომსახურებაზე შესაძლებელია ხელშეკრულებისა და ინვოისის მიღება;
19.1.5 სტუმრისათვის ხელმისაწვდომია დეგუსტაციისა და საჭმლის მენიუ.

სასურველია:

19.1.6 მეურნეობის მფლობელი რეგისტრირებულია შემოსავლების სამსახურში;
19.1.7 მეურნეობა რეგისტრირებულია ონლაინ დაჯავშნის საიტებზე